პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 8 აგვისტო, 1944 წ. № 160 (7103). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებითს შეტევას ავითარებენ, დღეს, 6 აგვისტოს, იერიშით დაიკავეს უკრაინის დიდი სამრეწველო ცენტრი და საოლქო ქალაქი — **დროგობიჩი** — მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი, რომელიც იფარავს კარპატებზე გადასასვლელი უღელტეხილების მისადგომებს.

ქალაქ **დროგობიჩის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **ბრეჩკოს**, გენერალ-მაიორ **გორდეევის**, გენერალ-მაიორ **ლაზკოს**, პოლკოვნიკ **დრიახლოვის**, პოლკოვნიკ **ბრინჩენკოს**, პოლკოვნიკ **პახომოვის**, პოლკოვნიკ **ივანჩურის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრიჩენოკის**, პოლკოვნიკ **შიბურკუსის**, პოლკოვნიკ **შრამნოვის**, პოლკოვნიკ **ნოვიკოვის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რაიკინის**, პოლკოვნიკ **სტრელეცის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ **სამოხინის**, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ნანეიშვილის**, პოლკოვნიკ **კოტელნიკოვის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ტუკაჩევის**, პოლკოვნიკ **ოსტაპოვის**, მაიორ **ვორონოვის**, მაიორ **მარხოორიანის**, მაიორ **შიშოვის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ბელიანჩიკის**, პოლპოლკოვნიკ **ენგელის**, პოლპოლკოვნიკ **მიშინის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **დროგობიჩის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**დროგობიჩის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 6 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორას ოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო სალუტს აძლევს **უკრაინის** მე-4 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **დროგობიჩი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **დროგობიჩის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 6 აგვისტო.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, დღეს, 7 აგვისტოს დაიკავეს ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **სამბორი** — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი კარპატის მთების ძირში.

ქალაქ **სამბორის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **მოსკალენკოს**, გენერალ-მაიორ **ბუშუევის**, პოლკოვნიკ **ვასილიევის**, პოლკოვნიკ **სიპუნის**, პოლკოვნიკ **გალცევის**, პოლკოვნიკ **ანდრიეევის**, პოლკოვნიკ **დოცენკოს** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ლიხაჩევის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **სანკოს**, არტილერიის გენერალ-მაიორ **კოლესოვის**, პოლკოვნიკ **დობრინსკის** არტილერისტებმა; პოლკოვნიკ **გელიაევის** ტანკისტებმა; პოლკოვნიკ **ბისტროვის**, პოლკოვნიკ **იუზეევის** მფრინავებმა; საინჟინრო ჯარების გენერალ-მაიორ **ვარშარკინის** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ტარუნინის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **სამბორის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**სამბორის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 7 აგვისტოს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო სალუტს აძლევს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **სამბორი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **სამბორის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 7 აგვისტო.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას, დღეს, 7 აგვისტოს ბრძოლით დაიკავეს ქალაქი **ბორისლავი** — დასავლეთ უკრაინის ნავთის მომპოვებელი მრეწველობის დიდი ცენტრი.

ქალაქ **ბორისლავის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **ბრეჩკოს**, გენერალ-მაიორ **ლაზკოს**, გენერალ-მაიორ **ოვჩინნიკოვის**, პოლკოვნიკ **ივანჩურის**, პოლკოვნიკ **პახომოვის**, პოლკოვნიკ **ნოვოჟილოვის** ჯარებმა; არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრიჩენოკის**, პოლკოვნიკ **ნოვიკოვის**, პოლკოვნიკ **ვორობიოვის**, პოდპოლკოვნიკ **ტერეხინის** არტილერისტებმა; სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **რაიკინის** ტანკისტებმა; ავიაციის გენერალ-მაიორ **სამოხინის** მფრინავებმა; პოლკოვნიკ **ოსტაპოვის**, პოდპოლკოვნიკ **შელუდკოს** მესანგრეებმა; პოლკოვნიკ **ბელიანჩიკის**, პოდპოლკოვნიკ **ჟიდას**, პოდპოლკოვნიკ **მიშინის** მეკავშირეებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი ქალაქ **ბორისლავის** დაკავებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ბორისლავის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 7 აგვისტოს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ას ოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო სალუტს აძლევს **უკრაინის** 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **ბორისლავი**.

ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ბორისლავის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 7 აგვისტო.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
6 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

6 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ **ფსკოვის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები შეტევით ბრძოლებს ეწეოდნენ, რომელთა შესვლელობაში დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **შუბენკი**, **ლაპკოვა**, **ლაურა**, **ზახარიევა**, **კუსტოვკა**, **ლიუბიაბოვა**, **გლუმრეინი**, **სპარი**, **დუნდური**, **მეჟაგილი**.

ქალაქ **რეზეკნეს** (**რეჟიცის**) დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა ბრძოლებით დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დასახლებული პუნქტები **ვილკატე**, **იაუნზემი**, **ლიეგრადე**, **კრიპანი**, **სილგალი** და რკინიგზის სადგური **მეჟციემსი**.

ქალაქ **კაუნასის** (**კოვნოს**) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე **დუბისა** და ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **მილოშაიცე**, **მანკუნი**, **როშაიცი**, **იოდაიცე**, **კოგოვ-სანცი**, **კარალგირი**, **ვამგოლე**.

ქალაქ **სანდომირის** აღმოსავლეთით და სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა მოსპეს მოწინააღმდეგის პლაცდარმი მდინარე **ვისლის** მარჯვენა ნაპირზე მდინარე **სანის** სათავიდან ქალაქ **ტარნოგჟეგამდე**.

ქალაქ **ჟეშუვის** ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური **მელეცი**, გადალახეს მდინარე **ვისლოკა**, დაიკავეს მდინარის დასავლეთ ნაპირზე 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **ოსტრუშეკი**, **უისშეცი**, **ბოროვა**, **გლინი მალი**, **სადკოვა გურა**, **სუროვა**, **ლისაკუშეკი**, **გრადი**, **ვოლია პლავსკა**, **ზლოტნიკი**, **ჟენკიანოვიცე**.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც წარმატებითს შეტევას ანვითარებენ, 6 აგვისტოს იერიშით დაიკავეს მოწინააღმდეგის კომუნიკაციების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და თავდაცვის მძლავრი დასაყრდენი პუნქტი—უკრაინის საოლქო და სამრეწველო ცენტრი ქალაქი **დროგობიჩი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დროგობიჩის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი **მედენიცა**, სტანისლავის ოლქის რაიონული ცენტრი ქალაქი და რკინიგზის სადგური **ბოლეხოვი**.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

5 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 151 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 108 თვითმფრინავი.

7 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

7 აგვისტოს განმავლობაში ქალაქ **რეზეკნეს** (**რეჟიცის**) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევითს ბრძოლებს, დაიკავეს ქალაქი **ლუბანა** და ბრძოლებით დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ცეკურნიეკი**, **ლიგენიეკი**, **ლუზა**, **კლატესი**. ჩვენმა ჯარებმა გადასჭრეს **გულბენე-მადონის** რკინიგზა და გზატკეცილი.

ქალაქ **შაულიაის** დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენი ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ წინ და დაიკავეს ყამორგზების დიდი კვანძები **კურშენი** და **შავკიანი**, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 50-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის **სმილგი**, **იანულაიცი**, **კურტოვიანი**, **გაგზორი**, **გორდი**.

ქალაქ **კაუნასის** (**კოვნოს**) ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც სძლევენ მტრის წინააღმდეგობას, დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ანდრუშაიცე**, **ტრეკუცე**, **ელინზე**, **პროდძოვო**, **პუშჩინე**, **პაპრიაუცი**, **ზუბრი**.

ქალაქ **ბელოსტოკის** ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს ქალაქები **ძნიშინი**, **ლაპი**.

ქალაქ **სანდომირის** დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ პლაცდარმის გასაფართოებლად მდინარე **ვისლის** მარცხენა ნაპირზე და დაიკავეს 60-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები **სოლნიჩანი**, **კლიმონტუვი**, **კონარი**, **ბოგორია**, **ფიდლუვი**, **პშიბოროუვი** და რკინიგზის სადგური **ბოგორია**.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა, შეუპოვარი ბრძოლების შედეგად, 7 აგვისტოს იერიშით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი **კარპატის** მთების ძირში — ქალაქი და დიდი სარკინიგზო კვანძი **სამბორი**.

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ **შეტევას**, 7 აგვისტოს ბრძოლით დაიკავეს დასავლეთ უკრაინის ნავთის მომპოვებელი მრეწველობის დიდი ცენტრი — ქალაქი **ბორისლავი**.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

6 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 110 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 117 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ **რეზეკნეს** (**რეჟიცის**) ჩრდილო-დასავლეთით საბჭოთა ნაწილებმა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან დარტყმებით გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი—ქალაქი **ლუბანა**. გაგრძელდა ბრძოლები სწარმოებდა რეზეკნე-მადონის გზატკეცილის რაიონში. ჩვენმა ჯარებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე კონტრიერიში, უკუაგდეს იგი, განაგრძეს წარმატება და გადალახეს მდინარე **კუბი**, დღის განმავლობაში გაფლეტილია 2 ათასზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელთ ვიგდეთ 13 თვითმავალი და საველე ქვემეხი, 2 საზენიტო ბატარეა, 10 ნაღმსატყორცნი და სამარი მასალის 3 საწყობი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია გერმანელთა 18 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ **კაუნასის** ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები ფართო ფრონტით ჯვიდნენ მდინარე **დუბისაში** და განაგრძობდნენ შეტევას. მოწინააღმდეგე ხშირად გადმოდის კონტრიერიშებზე, მაგრამ არ ძალუძს შეაჩეროს საბჭოთა ნაწილების წინსვლა. შეუპოვარი ბრძოლის შედეგად, ჩვენმა ქვეგანყოფილებამ დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დასაყრდენი პუნქტი **ანდრუშაიცე**. დასახლებული პუნქტის მისადგომებზე მტრის ასობით გვამი დარჩა. დღის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 10 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი, 13 საველე ქვემეხი და 56 ტყვიამფრქვევი.

ჩვენმა ავიაციამ მძლავრად დაარტყა მოწინააღმდეგის რკინიგზის სადგურებსა და აეროდრომებს აღმოსავლეთ პრუსიაში. ინსტერბურგის სადგურში დაბომბვის შედეგად ხანძრის 6 კერა გაჩნდა. აიდკუნენის სადგურშიც დამსხვრეული და დამწვარია რამდენიმე ეშელონი ჯარისაგან და საწყავიანად. პილკალენის აეროდრომზე თავდასხმისას ჩვენმა ავიაგამანადგურებლებმა მიწაზე დასწვეს 4 ბომბდამშენი და 2 ავიაგამანადგურებელი. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 20 თვითმფრინავი.

* * *

ქალაქ **ბელოსტოკის** ჩრდილო-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილებმა მტერი განდევნეს მდინარე **იატრენკის** ნაპირებზე ჰდებარე თავდაცვითი ზღუდიდან და გაიჭრნენ ქალაქ და გზატკეცილების კვანძ **ძნიშინისაკენ**. გერმანელები, რომლებმაც თავი მოუყარეს ბევრ არტილერიასა და ნაღმსატყორცნს, ცდილობდნენ ძლიერი ცეცხლით და კონტრიერიშებით აღედგინათ მდგომარეობა, მაგრამ უშედეგოდ. საბჭოთა არტილერისტებმა გზა გაუკაფეს ქვეითს ჯარს და ჩაახშეს 60 ტყვიამფრქვევის, 13 ნაღმსატყორცნისა და 15 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი. ჩვენი ნაწილები შეიჭრნენ ქალაქ **ძნიშინში** და ძლიერ ბრძოლის შედეგად გასწმინდეს იგი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. ხელთ ვიგდეთ ტყვეები და დაფლა.

ქალაქ **ბელოსტოკის** სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდინარე **ნარევი**. მოწინააღმდეგემ რეზერვები მოიშველია და 20-ზე მეტი კონტრიერიშები მოიტანა. საბჭოთა ნაწილებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის იერიშები. წინ წაიწიეს და დაიკავეს **რკინიგზის** სადგური და ქალაქი **ლაპი**. დამწვარი და დაზიანებულია გერმანელთა 17 ტანკი და თვითმავალი ქვემეხი. ხელთ ვიგდეთ ბევრი საჯარო ველი და სამხედრო მასალა.

* * *

ქალაქ **სანდომირის** დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა დილაადრიან ძლიერ დაარტყეს მოწინააღმდეგეს და გაარღვიეს **მძლავრი** თავდაცვა მდინარე **კოშნიცაზე**. საბჭოთა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა 10 კილომეტრით წაიწიეს წინ და თავიანთ გზაზე გაანადგურეს მტრის რამდენიმე გარნიზონი. 5 შენაერთის ნაწილებმა მოსპეს 900 ჰიტლერელი და 20 ტანკი. ხელთ ვიგდეთ ბევრი დაფლა და 500-ზე მეტი ტყვე.

* * *

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა შეტევა განაგრძარეს და გავიდნენ გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტის, ქალაქ **სამბორის** მისადგომებზე. მოწინააღმდეგე შეუპოვრად იცავდა რკინიგზების ამ დიდმნიშვნელოვან კვანძს და დიდი ძალებით განუწყვეტლად მოჰქონდა კონტრიერიშები. ჩვენმა ტანკებმა და ქვეითმა ჯარმა ქალაქს დასავლეთიდან შემოუარეს და მტერს გადაუჭრეს ძირითადი უკანდასახევი გზები. საბჭოთა ნაწილებმა დარტყმები გააძლიერეს და სამბორში შეიჭრნენ. ქუჩებში შეუპოვარი ბრძოლები გაჩაღდა. დღეს ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის **გარნიზონი** და მთლიანად დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის კვანძი სამბორი. მტერს უდიდესი ზარალი მოუვიდა. მარტო ერთმა ჩვენმა შენაერთმა დღის განმავლობაში გაანადგურა 1.600 ჰიტლერელი, მოსპო 11 ტანკი, თვითმავალი ქვემეხი და ხელთ იგდო გერმანელთა 8 ტანკი.

* * *

უკრაინის მე-4 ფრონტის ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას. წინანდელ ბრძოლებში შებერტყილი გერმანელთა და ენგრელთა ნაწილები ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ ქალაქ **ბორისლავის** — ნავთის მომპოვებელი მრეწველობის დიდი ცენტრის მისადგომებზე. ჩვენმა ჯარებმა **გამანადგურებელი** დარტყმებით უკუაგდეს მოწინააღმდეგე და დაიკავეს ქალაქი **ბორისლავი**. წამოყენებულია ბევრი ტყვე. ხელთ ვიგდეთ დიდი დაფლა.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის ავიაციამ ჩუდის ტბაში ჩასძირა მოწინააღმდეგის სამდინარო გემი, ორი სწრაფმავალი სადესანტო ბარჟაპი, სამი კარჯაპი და ორი კატერი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა ხუთი თვითმფრინავი.

ამხ. ვ. ა. მალიშევისა და ბ. ი. პარხინისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ქვემოდასახელებულ პირებს მიენიჭოთ თავდაცვის სახალხოკომისარ-ტის 1942 წლის 7 მარტისა და 1943 წლის 4 თებერვლის—ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

საინჟინრო-სატანკო სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის წოდება ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევს**.

საინჟინრო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის წოდება პეტრე ივანეს-ძე **პარხინს**.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ი. სტალინი**

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **ი. ჩადაევი**

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 5 აგვისტო.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარ ამხ. ვ. ა. მალიშევისათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

ტანკებისა და საარტილერიო თვითმავალი დანადგარების წარმოების ორგანიზაციის საქმეში, აგრეთვე საბრძოლო მანქანების ახალი ტიპების ათვისებაში და ამ მანქანებით წითელი არმიის აღჭურვაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოს **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს medaliо **„ნამგალი და ურო“** ამხ. ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევს**—სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1944 წლის 5 აგვისტო.

სამშობლოს 145-ე სალუტი შემტევი ნითელი არმიის პატივსაცემად

5 აგვისტოს მოსკოვმა სამშობლოს სახელით სალუტი მისცა შემტევი წითელი არმიის სახელოვან სტრის ღვიზიანებს. ეს იყო 145-ე სალუტი. მან დაიქუხა პირველი მისასალმებელი ზალპის, სწორედ ერთი წლის შემდეგ, როცა დედაქალაქი აღნიშნავდა ორიოლისა და ბელგოროდის განმათავისუფლებელთა გმირობას.

145 სალუტი აცისკროვნებს გამარჯვების გზას, რაც განვლო ერთი წლის მანძილზე შემტევმა წითელმა არმიამ ორიოლიდან აღმოსავლეთ პრუსიისა და ვარშავის მისადგომებამდე, კარპატების მთის ძირებამდე და პოლონეთის სამხრეთ რაიონებამდე, არმიისა, რომელიც იბრძვის რუმინეთის ტერიტორიაზე და რომელმაც მიაღწია ჩვენს სახელმწიფო საზღვარს ფინეთთან. ათიათასობით კვადრატული კილომეტრი, ასობით დიდი ქალაქი, მრავალი ათასი დასახლებული პუნქტი გაწმენდილია ამ დროის განმავლობაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან. განთავისუფლებულია რსფს რესპუბლიკის მთელი ტერიტორია, თითქმის მთელი უკრაინა და ბელორუსია, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკების მნიშვნელოვანი ნაწილი, დამსხვრეულია მოწინააღმდეგის თავდაცვის ათობით მძლავრი, ღრმად ეშელონირებული ხაზი, გადალახულია ევროპის უდიდესი მდინარეები დნეპრი, დესნა, დნესტრი, იუენი ბუგი, პრუტი, სერეტი, ზაპადნაია დვინა, ბერეზინი, ნემანი, ზაპადნი ბუგი, სანი, ვისლა და სხვები. უმძიმესი, აუნაზღაურებელი ზარალი მივაყენეთ მტრის ცოცხალ ძალასა და ტექნიკას!

ერთი წლის მანძილზე, რამაც განვლო პირველი სალუტის შემდეგ, მოსკოვში გასროლილია 2.428 საარტილერიო ზალპი. თვითეულმა მათგანმა, რომელიც მოჰფინეს რადიოტალღებმა მთელ მსოფლიოს, კანონიერი სიხარული გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიოს თავისუფლების მოყვარე ყველა ქვეყანაში, დაბნეულობა და შიში გამოიწვია ჩვენი მტრების ბანაკში.

კანადის პრესა ამხანაგ სტალინის „გამარჯვების“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

ოტავა, 3 აგვისტო (საკუთარი). კანადის გაზეთი „ჯორნელი“ კომენტარს უკეთებს „გამარჯვების“ ორდენით ამხანაგ სტალინის დაჯილდოებას და მოწინავე სტატიაში სწერს ამხანაგ სტალინის შესახებ „არა მარტო როგორც საბჭოთა კავშირის უდიდესი ხელმძღვანელის, არამედ ყველა დროის უმაღლესი სამხედრო გენიის შესახებ“. სტატია მაღალ შეფასებას აძლევს სტალინის ხელმძღვანელობას გერმანიის არმიების უდიდესი მიძალების შედეგად წითელი არმიის უკანდახევის სერიოზულ პერიოდში, როცა სტალინმა გამოავლინა მაღალი და იშვიათი თვისების მორალური მამაცობა და ფართო მასშტაბის ომის შესანიშნავი გაგება, თავისი ხალხის ცოდნა და თავისი მოწინააღმდეგის სისუსტეთა ცოდნა. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამის შედეგად გერმანიამ ბევრი ბრძოლა მოიგო, მაგრამ ომი წააგო. როცა სტალინმა შეტევა დაიწყო, რომლის შედეგად ამჟამად საბჭოთა ტერიტორია თითქმის მთლიანად გაწმენდილია მტრისაგან, მან გამოავლინა თავისი ნიჭის სხვა მხარე — სამხედრო ხელმძღვანელის უნარი.

დასასრულ სტატიაში აღნიშნულია, რომ „რუსმა ხალხმა გამოიჩინა სიმტკიცე და მამაცობა. რუსი ჯარისკაცები გაბედულად და მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ ყოველივე ამის მაღლა დგას გმირული ფიგურა სტალინისა — თავისი ქვეყნის შეუდარებელი ბელადისა ამ ქვეყნისათვის უდიდესი საფრთხის დღეებში“.

ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა დიდ თეატრში

5 აგვისტოს, მოსკოვში, სსრ კავშირის დიდ თეატრში, საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი რუსი მხატვრის ი. ე. რეპინის დაბადების 100 წლისთავს, შეიკრიბნენ ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, მწერლები, მეცნიერები, სტახანოველები, წითელი არმიის წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა სსრ კავშირის საბჭოთა მხატვარმა ა. მ. გერასიმოვმა.

ა. გერასიმოვი ლაპარაკობს მსოფლიო და რუსული ფერწერის ისტორიაში რეპინის უდიდესი მნიშვნელობის შესახებ, მისი დროის მოწინავე იდეების ჩამოყალიბებაზე რეპინის ქმნილებათა უდიდესი საზოგადოებრივი გავლენის შესახებ. რეპინის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია უღრეს დემოკრატიზმით და ხალხისადმი მხურვალე სიყვარულით.

სიტყვა მოხსენებისათვის დიდი რუსი მხატვრის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ეძღვნება აკადემიკოს ი. ე. გრაბარს.

მომხსენებელი დაწვრილებით ახასიათებს რეპინის ხელოვნების განსაკუთრებულ თვისებებს, რომლებმაც მას ფერწერის ისტორიაში უმაგალითო საერთო-სახალხო აღიარება და სიყვარული მოუპოვეს.

— რეპინის უდიდესი მნიშვნელობა,—ამთავრებს აკადემიკოსი გრაბარი,—იმაში მდგომარეობს, რომ მან პირველად მაღლა აღმართა რუსული სახვითი ხელოვნების დროშა, აამაღლა იგი ხალხის თვალში და დაუახლოვა ხალხს. რეპინის ხელოვნება გზის მანათობელი ვარსკვლავია როგორც მისი თანამედროვეებისათვის, ისე ყველა შემდგომი თაობისათვის, და ყველა ხალხთა მხატვრები კიდევ დიდხანს მიიღებენ ამ უშრეტი წყაროდან ძალებსა და შთაგონებას.

მოგონებით რეპინზე გამოვიდნენ ფერწერის აკადემიკოსი ვ. კ. ბიალნიცკი-პირიული და მხატვარი გ. ნ. გორელოვი.

სხდომაზე მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა მხატვართა ლენინგრადის კავშირის ხელმძღვანელმა ვ. ა. სეროვმა.

— თავისი სისხლიანი სიგიჟით, — ამბობს იგი,—ჰიტლერს სურდა თავისუფალი რუსი ადამიანი მონად გადაექცია, მოესპო მისი მაღალი კულტურა, პირისაგან მიწისა აღეგავა მისი ხელოვნების შედევრები. მტერი ჩლუნგი სიბრაზით ცდილობდა დაენგრია ლენინგრადი, აღმოეფხვრა ჩვენში რუსული მეცნიერებისა და კულტურის დიდი მოღვაწეების სსოვნა. იგი ბომბებს აყრიდა სამხატვრო აკადემიას, რუსულ მუზეუმს, სადაც მილიონობით ადამიანი დადიოდა რეპინის უკვდავი ტილოებით დასატკბობად, ჰიტლერის საბრიზღარმა ფინელმა ლაქიებმა, რომლებიც წითელი არმიის დარტყმებით გარბოდნენ, დაანგრიეს და ფერფლად აქციეს რეპინის განთქმული „პენატები“.

— მათ სურდათ, — მრისხანედ ამბობს ლენინგრადელი ხელოვანი,—წაართმიათ ჩვენთვის ჩვენი დიდება, მაგრამ ეკვდავია ჩვენი სამშობლოს სიდიადე, უკვდავია მისი კულტურა, სამარადისოა მისი ხელოვნება! და არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს რუსული ძლიერების დაძლევა, არ არის ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩაუხშოს რუს ადამიანს მისი უსაზღვრო სიყვარული სამშობლოსადმი!

მხურვალე ტაშით ხვდებიან დამსწრენი ორატორის დასკვნის სიტყვებს:

— ახლოსაა ჟამი, როდესაც ჩვენი სამშობლოს ცხოვრება გაბრწყინდება საბოლოო გამარჯვების შუქით. და კიდევ უფრო მაფიერად აღაჭაბუნებენ ჩვენი ხალხის დიდ წინაპართა სახელები, ჩვენი ხალხისა, რომელმაც ღირსეულად დაიცვა თავისი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, კაცობრიობის მომავალი, მისი ყველაზე უფრო მაღალი და კეთილშობილური იდეალები.

მეგალურგთა მესამე სრულიად-საკავშირო კონკურსი

შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატმა გამოაცხადა მესამე სრულიად-საკავშირო კონკურსი“ საუკეთესო გ

ოდენობა გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიისა, რომელი[illegible] წითელმა არმიამ გაათავისუფლა გერმანელ და ფინელ დამპყრობლებ[illegible] 1944 წლის 23 ივნისიდან 2 აგვისტომდე


ბალტიის ზღვა
ფინეთი
ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე
ჩრდილოეთ ევროპა
ეგვიპტე
ინგლისი
ირლანდია
ბელგია
ბერლინი
ვარშავა
ბუქარესტი
ბულგარეთი
ბელგრადი
ბუდაპეშტი
ბრატისლავა
ვენა
ბერლინი
ლონდონი
ამსტერდამი
ბრიუსელი
ბონი
ფრანკფურტი
ბაზელი
ბერნი
ბუენოს-აირესი
ბუენოს-აირესი
ბუენოს-აირეს

სსრ კავშირის მინსახკომში

განიხილა რა საგაზაფხულო თესვის გეგმის შესრულებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, სსრ კავშირის მინსახკომმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო და გადასწყვიტა გადასცეს სსრ კავშირის მინსახკომის გარდამავალი წითელი დროშები, ფულადი პრემიების მიცემით, შემდეგ მტს-ებს, რომლებმაც მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს საგაზაფხულო თესვის გეგმა:

უკრაინის სს რესპუბლიკის სტალინოს ოლქის ბოგოიავლენსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტრუტიაკოვი),

უკრაინის სს რესპუბლიკის დნეპროპეტროვსკის ოლქის ულიანოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. გლადკოვი),

უკრაინის სს რესპუბლიკის პოლტავის ოლქის ლოხვიცის მტს-ს (დირექტორი ამხ. პოშატენკო),

უკრაინის სს რესპუბლიკის ხარკოვის ოლქის მე-2 ოქტიაბრსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. კორნიენკო),

კურსკის ოლქის ჩერნიანკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბარანოვი),

ვორონეჟის ოლქის ბობროვის მტს-ს (დირექტორი ამხ. პეტროვი),

ორიოლის ოლქის პოკროვსკოეს მტს-ს (დირექტორი ამხ. ჩეპურნინი),

ივანოვოს ოლქის სუზდალის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტრავნიკოვი),

რიაზანის ოლქის რიბნოეს მტს-ს (დირექტორი ამხ. ევტეევი),

იაროსლავლის ოლქის ნეკოუზის მტს-ს (დირექტორი ამხ. კანინი),

თათრეთის ასს რესპუბლიკის კაზანსკაიას მტს-ს (დირექტორი ამხ. ახმედოვი),

მოსკოვის ოლქის ლენინის მტს-ს (დირექტორი ამხ. ისაევი),

გორკის ოლქის ბოგოროდსკოეს მტს-ს (დირექტორი ამხ. პონომარიოვი),

ტულის ოლქის პერვომაისკის მტს-ს (დირექტორი ამხ. რიაბოვი),

სომხეთის სს რესპუბლიკის ჰოჭტემბერიანის მტს-ს (დირექტორი ამხ. სუკასიანი).

საქართველოს სს რესპუბლიკის შულავრის მტს-ს (დირექტორი ამხ. კოკაევი),

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის ხაჩმასის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტასოევი),

ყარა-კალპაყეთის ასს რესპუბლიკის სარაბაის მტს-ს (დირექტორი ამხ. ზალევსკი),

ყარა-კალპაკეთის ასს რესპუბლიკის კუიბიშევის მტს-ს (დირექტორი ამხ. ხა-ოუეი),

თურქმენეთის სს რესპუბლიკის მარის ოლქის ვარის მტს-ს (დირექტორი ამხ. ხალატოვი),

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის სტალინაბადის ოლქის სტალინაბადის მე-2 მტს-ს (დირექტორი ამხ. ალიმოვი),

მოლოტოვის ოლქის პერმის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბურილოვი),

ჩელიაბინსკის ოლქის კუნდრავინის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვოლკოვი),

ჩკალოვის ოლქის ზალესოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ანტროპოვი),

ბაშკირეთის ასს რესპუბლიკის იარკეევის მტს-ს (დირექტორი ამხ. იახიაროვი),

სვერდლოვსკის ოლქის ბილეისკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვიატკინი),

ყაზახეთის სს რესპუბლიკის ყარაგანდის ოლქის ლიტვინოვის მტს-ს (დირექტორი ამხ. კოზეროდი),

ყაზახეთის სს რესპუბლიკის აკმოლინსკის ოლქის მტს „ავანგარდს" (დირექტორი ამხ. კონიახინი),

ლენინგრადის ოლქის კინგისეპის მტს-ს (დირექტორი ამხ. კარმა),

კიროვის ოლქის ვიატსკეე პოლიანის მტს-ს (დირექტორი ამხ. კორეენეესკი),

ტამბოვის ოლქის პოლეტაევის მტს-ს (დირექტორი ამხ. ვარფოლომეევი),

სტალინგრადის ოლქის ლუგოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ალიმოვი),

სტალინგრადის ოლქის ბ. სუდაჩინსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბარანიკოვი),

კუიბიშევის ოლქის პოხვისტნევოს მტს-ს (დირექტორი ამხ. სიმუკოვი),

სარატოვის ოლქის ნახოის მტს-ს (დირექტორი ამხ. მოროზოვი),

ალტაის მხარის პარტიზანსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ორეხოვიჩი),

ალტაის მხარის პოდსოსნოვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. აშმარინი),

კრასნოიარსკის მხარის ასკიზის მტს-ს (დირექტორი ამხ. ზარვა),

ომსკის ოლქის ალექსანდროვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბისტროვი),

ჟურგანის ოლქის დოლმატოვის მტს-ს (დირექტორი ამხ. ნიკანოროვი),

კუმეროვოს ოლქის კუზნეცკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ლიტვინოვი),

ნოვოსიბირსკის ოლქის გალკინის მტს-ს (დირექტორი ამხ. ანდრიანოვი),

როსტოვის ოლქის აზოვის მტს-ს (დირექტორი ამხ. პიმკინი),

კრასნოდარის მხარის ტერეიასლავსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. კაშტანოვი),

კრასნოდარის მხარის ოტრადნოეს მტს-ს (დირექტორი ამხ. შაილკო),

სტავროპოლის მხარის კუმსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. უშაკოვი),

სტავროპოლის მხარის პეტროვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ბელოუსოვი),

გროზნოს ოლქის ორჯონიკიძის მტს-ს (დირექტორი ამხ. ტაბაკო),

ჩიტის ოლქის ტურგინსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. ჟილკოვი),

ხაბაროვსკის მხარის ხაბაროვსკის მტს-ს (დირექტორი ამხ. პოპროცკი).

თბილისის საორთქლმავლო დეპოს ახალგაზრ დულ-ფრონტული ბრიგადა შესვენებისას (მარცხნივ — ბრიგადის ხელმძღვანელი დ. ჭოჭინაძე) ფოტო რ. აკოფოვისა.

ჩაის ჩვენი ფოთლის კრეფა

(ტრესტ „საქჩაის" 1 აგვისტოს ცნობით)

რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	20 სტ. გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით	რაიონები	წლიური გეგმის შესრულება პროცენტებით	20 სტ. გეგმის შესრულება წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით პროცენტებით
ბათუმი	62,4	—	ქუთაისი	67,0	1,7
ქობულეთი	60,3	3,5	წყალტუბო	73,7	1,3
ვანი	61,4	2,6	ტყიბული	73,9	3,0
ონჩამჩირე	58,8	3,7	ცხაკაია	65,0	1,2
გულრიფში	90,0	11,3	აბაშა	69,3	—
სოხუმი	132,0	—	გეგეჭკორი	60,2	2,5
გუდაუთა	71,7	—	ზუგდიდი	59,6	2,8
მახარაძე	62,9	1,9	წალენჯიხა	68,7	1,9
ჩოხატაური	65,5	0,6	ჩხოროწყუ	63,1	5,6
ლანჩხუთი	57,7	1,9	ხობი	64,3	3,5
სამტრედია	72,7	4,9	ჩიკარი	69,8	1,4
წულუკიძე	61,5	3,7	ზესტაფონი	34,5	9,0

ბათუმის, გუდაუთის, ლანჩხუთის, მახარაძის რაიონების ცნობები არასრულია.

სად როგორი ხარისხის ჩაის ფოთოლს კრეფენ

ტრესტ „საქჩაის" 1 აგვისტოს ცნობებით, ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში წელს მოკრეფილი ჩაის მწვანე ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 68,6 პროცენტი, აბაშის რაიონში—66,8, გუდაუთის—61,3, ზუგდიდის—54,5, ქუთაისის—51,3, მახარაძის—51,2, წალენჯიხის—50,4, ქობულეთის—48,5, გულრიფშის—48,5, ტყიბულის—48,1, ჩხოროწყუს—46,0, ონჩამჩირის—35,9, სოხუმის—35,9, ხობის—35,7, ჩიკარის—30,4, ლანჩხუთის—32,0, ვანის—30,4, სამტრედიის—29,6, წყალტუბოს—27,1.

ჩაის ჩვენი ფოთლის ცუდად უვლიან

(გალი, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში წელს სრულიად მიივიწყეს ჩაის აგროწესები, რის გამო პლანტაციები სარეველა ბალახებმა და ეკალ-ბარდებმა დაპფარეს.

სოფელ ზემობარღეფის კოლმეურნეობა „გიგანტში" ჩაის 350 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს, მაგრამ ბოუველლობის შედეგად ეს პლანტაციები სანახევროდ ეკალ-ბარდებს დაუფარავს, პირუტყვს ეაუფუტებია და მოუსავლიანი გამხდარა. ამის შემდეგ გაკვირვებას აღარ იწვევს, რომ კოლმეურნეობამ ჩაის ფოთლის კრეფის ივლისის დავალება 32 პროცენტით ძლივს შეასრულა.

პლანტაციების მოვლისა და ფოთლის კრეფაში ასევე ჩამორჩენილია სოფელ სოდის (თავმჯდომარე კ. გერეგანავა), სოფელ ანიგვარის (თავმჯდომარე ბ. ფარფალია), სოფელ ნანიკეევის (თავმჯდომარე ვ. ქარდავა) კოლმეურნეობები.

ივლისში მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი გაუთარესულა: ქვემო ბარეღეფის (თავმჯდომარე ვ. გოგოხია), ჩხორთოლის (თავმჯდომარე ა. სარგიანავა), შუშელეთის (თავმჯდომარე კ. უზარაშვილი), ხუთუშკურის (თავმჯდომარე ს. ზაქარაია), ცხოროგლის (თავმჯდომარე ა. ქურსუა), დიხაურგის (თავმჯდომარე ქ. ზარია) და წარჩეს (თავმჯდომარე ვ. აბშილავა) კოლმეურნეობებმა.

ხარისხის გაუარესება გამოიწვია ჩაის კრეფაში აგროწესების უხეშმა დარღვევამ. ჩამორჩენილ დასაფარავად ეს კოლმეურნეობები ოვის მეორე ნახევარში ჰკრეფენ ყოველგვარ ფოთოლს და ამით სცემენ ხარისხს.

იერიშობასის შედეგად 20 ივლისიდან აჩიგვარისა და გალის ჩაის ფაბრიკებს დაუგროვდათ აუარებელი ფოთოლი, რომლის გადამუშავება მათ ვერ მოასწრეს, ათეულ ტონობით ფოთოლი ფაბრიკის ეზოებში, ღია ცისქვეშ, კვირაობით ეყარა და წვიმისაგან ფუჭდებოდა.

ანიგვარის ჩაის ფაბრიკამ ვერ მოახერხა ათი დღის დაგროვილი ფოთლის გადმოზიდვა ოქუმის, გუბის, აკვასკას და ბესლახუბას დამპახადებელი პუნქტებიდან, რის ჭამო იქ გადაიწვა, ხოლო ნაწილობრივ გაფუჭდა 35 ტონაზე მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი.

პლანტაციების მოვლისა და ჩაის ფოთლის მოკრეფა-დამზადების საქმეში დიდი ჩამორჩენა აქვს აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობას (დირექტორი კ. პატარაია). აქ 803 ჰექტარზე გაშენებული ჩაის პლანტაციიდან, რომელიც მეურნეობას აქვს, წელს პირველი გათოხნა ჩაუტარებიათ მხოლოდ 156 ჰექტარზე, დანარჩენი პლანტაციები ბალახებსა და ეკალ-ბარდებს დაუფარავს. მეურნეობის პლანტაციებში პირუტყვი თავისუფლად დათარეშობს. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მეურნეობა წლის დასაწყისიდან ვერ ასრულებს გეგმებს. ივლისის დავალება მან 33 პროცენტით ძლივს შეასრულა. ამ ჩამორჩენას მეურნეობის დირექცია მუშახელის ნაკლებობით ხსნის. მართალია, მეურნეობას აკლია ჩაის მკრეფავები, მიჭირან მეურნეობა წესიერად ვერ იყენებს იმ მუშახელსაც, რაც ამეამად ჰყავს. აქ ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს საკუთარი ძალების გონივრული გამოყენება. მოუწესრიგებელია შრომა. სუსტია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა მეურნეობის მუშებს შორის.

მეურნეობა მოუმზადებელი შეხვდა აგრეთვე თბილისიდან ჩაის საკრეფად ჩამოსულ 250 სტუდენტს. რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ნაკლებად ეხმარებიან საბჭოთა მეურნეობას.

საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა საჭიროა გააძლიეროს ხელმძღვანელობა აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობისაში.

ა. ნინუა

ორი სასახელო კომბაინერი

(მცხეთა, „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტისაგან)

მოწინავე კომბაინერები ს. ბიჭიაშვილი და კ. სოხაშვილი დღეში 18-20 ჰექტარზე იღებენ მოსავალს.

როგორ აღწევენ ასეთ შედეგებს?

მათ იციან, რომ კომბაინით მოსავლის აღების წარმატებას ადამიანები სწყვეტენ. ამიტომ დიდი ყურადღება მიაქციეს მოწინავე ადამიანებისაგან აგრეგატის დაკომპლექტებას. შემოდგომასა და გაზაფხულზე ტრაქტორებზე მუშაობის დროს ბიჭიაშვილისა და სოხაშვილის აგრეგატი სწავლობდა ადგილმდებარეობას, სადაც უნდა აეღოთ მოსავალი. წინასწარ ხდებოდა ორმოების ამოვსება და ბორცვების გასწორება.

კომბაინების მაღალნაყოფიერად მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ მოვლას. ამიტომ დილის 5 საათზე კომბაინერები გამოდიან მანქანის მოსამზადებლად. როცა 30-40 წუთის შემდეგ კომბაინი მინდვრად სამუშაოდ გამოდის, მასზე ყველაფერი წესრიგშია: გაკეთებულია მარცვალსაკერები, ტრანსპორტორები. მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებანი. კომბაინებს გაკეთებული აქვთ ნაპერწკალმქერებიც. დილა-საღამოს ს. ბიჭიაშვილი და კ. სოხაშვილი გულდასმით ამოწმებენ კომბაინებს, თვითონ უქერენ ჰანქიკებს, სარეზერვო ნაწილებს, აწესრიგებენ ჯაჭვებისა და ტრანსპორტიორების დაჭიმულობას, აგრეთვე სინჯავენ მოტორის მუშაობას, სწვენენ, ბოხავენ კომბაინების კვანძებს, დეტალებს, უმატებენ წყალს, საწვავსა და ზეთს.

კომბაინის მუშაობის დროს მიმღები კამერის გარსაცმის გვერდიდან, სადაც ხედერის დახრილი ნაწილია მოთავსებული, ზოგჯერ ცვივა და იკარგება თავთავები. ს. ბიჭიაშვილმა და კ. სოხაშვილმა აღნიშნულ ადგილზე დაკიდეს ძველი ტომრისაგან გაკეთებული საფარი და თავიდან აიცილეს დანაკარგი.

წელს ს. ბიჭიაშვილისა და კ. სოხაშვილის კომბაინებს არც ერთი შესამჩნევი შეფერხება არ მოსვლიათ. თვითეულმა მათგანმა გეგმით სეზონში მოსავალი უნდა აიღოს 166 ჰექტარზე, ჯერჯერობით აღებული აქვთ 200-ზე მეტი ჰექტარი. ისინი გვპირდება მოსავალი აიღონ 350 ჰექტარზე. ეჭვი არ არის, რომ ამ პირობას შეასრულებენ.



ალიო მაშაშვილი

თოღია ერეკუნული

მეზღვაურის სიმღერა

ზღვა ბობოქრობს, ვებრძვი ტალღებს,
კვლავ მძვინვარებს ნიავქარი,
ჯავშნიან გემს მიაქანებს
წითელ დროშის იალქანი.

ეხეთქება ტალღა ტალღას,
გემს აწყდება მძლავრზე მძლავრი,
ზღვას თოლია დაფარფატებს,
ჩემი ცელქი თანამგზავრი.

ხან ამყვება, ხან დაჰყვება
გემს და მოსდევს ამ გოლიათს,
არ მშორდება, ვით ფარვანა,
თან ნუგეშად გამყოლია.

ზღვაში, თითქოს, ვარსკვლავების
ნალმებია ჩაძირული,
თითქოს გემი ნალმს წააწყდა,
შეტორტმანდა განწირული.

ზღვა ბობოქრობს, დრტვინავს გემი,
ლამის ფსკერში ჩაიძიროს,
ლამის გადრკეს შენი გმირი,
სამშობლოსთვის გაიწიროს.

ელავს და ჰქუხს, თოლია სწუხს,
ეხეთქება გემის ანძას,
თითქოს შენი კვნესა მესმის,
თითქოს მკლავიც მოიქანცა.

მაგრამ, იმედს ზღვა ვერ შთანთქავს,
გამიშუქებს გზას ნათელი,
ქარიშხლიან სულს ვერ გასტეხს
გაჭირვება, განსაცდელი.

მალე: გაჰკვეთს შავბნელ ტალღებს
გემის ლტოლვა სწრაფზე სწრაფი,
მალე: საჭეს ლახვრად დავსცემ
დასავლეთის ქვეყნის ნაპირს.

დავბრუნდები გამარჯვებით,
დამშვიდდება ზღვა მშფოთვარე,
და შორიდან ჩემი გემიც
გამოჩნდება, როგორც მთვარე.

მომეგებე ომგადახდილს,
მომაშუქე თვალთა სხივი,
სამშობლოსკენ გზა მიჩვენე,
დამაბრუნე ზღვის არწივი.

დამშვიდდება ქარიშხალიც, —
გულისთქმა და შფოთვა ჩემი,
წითელ დროშის იალქანით
მოადგება ნაპირს გემი.

და მეც მაშინ გეტყვი, კარგო,
— შენი ტყვე ვარ, შენი მონა,
გამიყვანე სამშვიდობოს,
მომაშველე თმების კონა.

რომ ჩემს გულმკერდს კვლავ დაენდო
ჩამეხვიო, როგორც ჩვილი,
მსურდეს კიდეც, მხრებს ვერ ვშლიდე
შენი თმებით შებოჭვილი.

1—8—44 წ. თბილისი.

ხალხთა სჯალინური მეგობრობის დროშით

ორი ქარხნის საწარმოო მეგობრობა

მტკიცე საწარმოო მეგობრობა დამყარდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნისა და უკრაინის მეორე დედაქალაქის — ხარკოვის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივებს შორის. თბილისელებმა, როგორც ცნობილია, ხარკოველებს სარეტრად გაუგზავნეს გერმანელ დამპყრობთა მიერ დანგრეული და გაძარცული ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის აღსადგენად საჭირო დეფიციტური მასალები, ხელსაწყო-იარაღები და მოწყობილობები. ამავე დროს განახლებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრება ორივე ამ ქარხნის კოლექტივებს შორის.

რკინიგზელის სტალინური დღისათვის მზადების დღეებში თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის კოლექტივმა ხარკოველებს წერილით აცნობა თავისი საწარმოო მიღწევები.

რამდენიმე დღის წინათ ხარკოველებმა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში გამოგზავნეს დელეგაცია, რომელიც ჩამოიტანა ხარკოველთა სამასუხო წერილი. ამ წერილით ხარკოველები იტყობინებიან, რომ მათ უკვე დაამთავრეს ქარხნის აღდგენის პირველი რიგის სამუშაოები და 1 ივლისიდან აამუშავეს სამი დიდი საამქრო.

— „ჩვენს ამ მიღწევაში, — ნათქვამია ხარკოველთა წერილში, — დიდი წილი გიდევთ თქვენც, რადგან, თქვენი დახმარება რომ არა, საეჭვოა, შეეძლებდით თუ ვერა ჩვენი ქარხნის ასე მოკლე დროში ამუშავებას. თქვენს მიერ გამოგზავნილი ხელსაწყო-იარაღები ჩვენ არ გვავიწყებენ იმ დიად ვალს, რომელიც გვაკისრია სამშობლოსა და დიდი სტალინის მიმართ — ვიმუშაოთ უფრო უკეთესად და გავაძლიეროთ დახმარება წითელი არმიისადმი მტერზე გამარჯვების სასიხარულო დღის მოსაახლოებლად. თქვენს მიერ გამოგზავნილი საჩუქრები, რითაც ვმუშაობთ, გვიღვივებენ უსაზღვრო სიყვარულს სამშობლოსადმი, დიდი სტალინისადმი, საბჭოთა კავშირში მოსახლე ყველა ხალხისადმი.

დიეგრძელი იყოს ხალხთა ურღვევი სტალინური მეგობრობა!

ვგზავნით რა თქვენთან ჩვენს წარმომადგენლებს, ვიალებთ მათ გიეცნონ თქვენს საწარმოო მიღწევებს და გამოცდილებას, გაგიზიარონ ჩვენი მიღწევებიც და შეამოწმონ ამ ორი მოძმე ქარხნის კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შედეგები".

საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ჭიათურა („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მორიგი პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა მშრომელთა დეპუტატების ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ვ. კაპანაძის მოხსენება საქალაქო მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ს. კაპანაძემ, პ. ბარბაქაძემ, კ. ტყემალაძემ და დ. ერგემლიძემ.

სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროებში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დაყენების შესახებ პლენუმმა მოისმინა ამ მაღაროთა პარტბიუროების მდივნების ამხ. ა. ჯაოშვილისა და ვ. თურქაძის მოხსენებები. კამათში გამოვიდნენ ამხ. დ. ერგემლიძე, ლ. ბადურაშვილი, მ. მოღებაძე, ვ. კაპანაძე, მ. ქამუშაძე, ა. ხვედელიანი.

პლენუმმა განიხილა საკითხი თავდაცვა-ავიაქიმის ჭიათურის საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ. ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. თ. აბაშიძემ. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. დ. ოტიაშვილმა, ბ. ასანიძემ, კ. აბეანდაძემ.

სამივე საკითხზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ამხ. ალ. სხილაძე.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილებანი.

პ. ჭიოკაძე

წარმოების ეკონომიკა ომის პერიოდში

ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მისი მატერიალური და ადამიანთა რესურსების სიდიდეს, იმას, თუ როგორ სწარმოებს რეზერვების მობილიზაცია და გამოყენება საომარი მიზნების განსახორციელებლად.

ჩვენს ქვეყანაში მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობამ უზრუნველყო მთელი ეკონომიკის საომარ ყაიდაზე წარმატებით გარდაქმნა და საჭიროდო მეურნეობის სწრაფად გამართვა. საბჭოთა სახელმწიფომ განამტკიცა თავისი ზურგი და მთელი მუშაობა დაუმორჩილა ფრონტის ინტერესებს. ამხანაგი სტალინი საპირველმაისო ბრძანებაში ამბობდა: „მაგრამ მთელი არმიის წარმატებანი შეიძლებოდა მტკიცე არ აღმოჩენილიყო და ისინი გაქარწყლებულიყო მოწინააღმდეგის პირველივე სერიოზული კონტრდარტყმით, რომ წითელ არმიას ზურგს არ უმაგრებდეს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხი, მთელი ჩვენი ქვეყანა. წითელმა არმიამ სამშობლოსათვის ბრძოლებში უმაგალითო გმირობა გამოიჩინა. მაგრამ საბჭოთა ხალხიც პირნათლად იხდის ვალს წითელი არმიის წინაშე".

ჩვენი სახალხო მეურნეობა სწრაფად იზრდება ომიანობის დროსაც. მიუხედავად ომის ძნელი პირობებისა, გაწვლილი პერიოდის მანძილზე საბჭოთა მრეწველობის ძლიერება საგრძნობლად გაიზარდა. მწყობრში ჩადგნენ ახალი ქარხნები, ბრძოლები, ელექტროსადგურები. ფრიად მოკლე ვადაში სწარმოებს ოკუპანტების მიერ დანგრეულ საწარმოთა აღდგენა.

საბჭოთა კავშირი აწარმოებს ომს და ამავე დროს ფართო მასშტაბით ეწევა კაპიტალურ მშენებლობას, ძირითადი ფონდების გაფართოებას. მაგრამ კაპიტალური მშენებლობა არ წარმოადგენს ერთადერთ გზას, რომლითაც სწარმოებს საბჭოთა მრეწველობის ძლიერების ზრდა. ახალი მშენებლობა და არსებულ სიმძლავრეთა გაფართოება მოითხოვს კაპიტალურ დანახარჯებს, მაშასადამე, საჭიროებს დიდი რესურსების დაბანდებას. ეს გზა არ შეიძლება ყოველთვის იქნას გამოყენებული, განსაკუთრებით ომის პირობებში.

წარმოების ზრდა ყოველთვის როდი უნდა საჭიროებდეს ახალ კაპიტალურ დაბანდებებს, ახალ ნაგებობათა მშენებლობას, ან არსებულ სიმძლავრეთა გაფართოებას, არამედ უნდა გულისხმმდეს, იმავე დანადგარების პირობებში, კაპიტალურ დაბანდებათა გაუწევლად მეტი პროდუქციის მიღებას.

თვითეულ საწარმოს ყოველთვის აქვს საშუალება ზემოხსენებული გზით გაზარდოს ფრონტისა და ზურგისათვის საჭირო პროდუქციის გამოშვება. არსებული მოწყობილობისა და სიმძლავრეების სწორი ალრიცხვა, მათი სრული გამოყენება, შრომის რაციონალური ორგანიზაცია, მოწყობილობის პროდუქტიული დატვირთვა, ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების რაციონალიზაცია, ყველა შინაგანი რეზერვის გამოყენება და ამოქმედება—აი ის ღონისძიებანი, რომელნიც მიმართულია პროდუქციის ზრდისაკენ დანადგარებისა და მოწყობილობის გაუფართოებლად. აღსანიშნავია, რომ ამ ღონისძიებათა გატარებამ საქართველოს მრეწველობის მოწინავე საწარმოებში უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი შედეგები და, რასაკვირველია, მეტ ეფექტს მივიღებთ მათი უფრო ფართო მასშტაბით განხორციელების პირობებში. მოწინავე საწარმოთა გამოცდილების შესწავლა, ამ გამოცდილების გაზიარება დიდად შეუწყობს ხელს წარმოების შემდგომ ზრდას, საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას.

პროდუქციის მოცულობის გაფართოება დანადგარებისა და მოწყობილობის გაუდიდებლად, მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, მუშაობის პროცესში ყოველგვარი დანაკარგისა და მოცდენის აღმოფხვრას. ამისათვის კი საჭიროა მოწყობილობისა და დანადგარების მოცდენის ზუსტი აღრიცხვა, იმ მიზეზების გამოვლინება, რომელნიც იწვევენ ამ მოცდენს. ეს საშუალებას მოგვცემს შევიმუშაოთ კონკრეტული ღონისძიებანი, რომელნიც მიმართული იქნებიან ამ მოცდენის ლიკვიდაციისაკენ. მოწყობილობისა და დანადგარების გამოყენების ხარისხის გაზრდისაკენ.

საწარმოს მუშაობაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს დაზგებისა და მოწყობილობის მოცდენს, რაც იწვევს საწარმოო შესაძლებლობის მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენებას.

საწარმოს შეუფერხებელი მუშაობის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მოწყობილობის რემონტის მართებული ორგანიზაცია. საბჭოურ-ნეო გეგმების წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ სრულდება მოწყობილობის რემონტის გეგმა, როგორია ამ რემონტის ხარისხი და დროულობა. რემონტის გრაფიკის მტკიცე დაცვა, თვით ამ რემონტის ჩატარება მოკლე ვადაში, მთელ მატერიალურ ფასეულობათა საუკეთესო მოვლის პირობებში, აუცილებელი მოთხოვნაა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას მოწყობილობის ეფექტური გამოყენება და საწარმოთა რესურსების წესიერი ამოქმედება.

პროდუქციის ზრდის ერთ-ერთ უდიდეს ფაქტორს წარმოადგენს წარმოების ორგანიზაცია ნაკადური მეთოდით. ეს უკანასკნელი პროდუქციის მასობრივად გამოშვების, მისი დაჩქარების, მთელი წარმოების ორგანიზაციის მაღალ საფეხურზე აყვანის ფართო შესაძლებლობას იძლევა.

ნაკადური მეთოდის დანერგვას და მის ფართოდ გამოყენებას ხელს უწყობს თვით წარმოების ხასიათი, ახალი ტექნოლოგია, დაკავშირებული ერთგვაროვანი პროდუქციის მასობრივ გამოშვებასთან, გულისხმობს წარმოების გაუმჯობესებული ფორმების გამოყენებას და, კერძოდ, ნაკადური მეთოდით მუშაობას. ეს საშუალებას გვაძლევს თვალსაჩინოდ გავზარდოთ საქონელის, ცეცხლითი მასალების, ჩაცმულობის გამოშვება და ამავე დროს გავაუმჯობესოთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. აღსანიშნავია, რომ ნაკადური მეთოდით მუშობა წარმატებით იქნა ათვისებული საქართველოს მეელ რიგ საწარმოებში, რამაც უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი შედეგები.

საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უდიდეს ფაქტორს შრომის ნაყოფიერების ზრდა წარმოადგენს. საწარმოში შრომის დისციპლინის მტკიცედ გატარება, სტახანოვურად მუშაობა, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა გაუმჯობესებული ტექნიკისა და შრომის მართებული ორგანიზაციის საფუძველზე, იძლევა შრომის ნაყოფიერების შემდგომ გადიდებას. ეს კი აუცილებელია იმისათვის, რომ გავზარდოთ პროდუქციის ოდენობა მუშახელის არსებული რაოდენობით, ანდა მუშათა კონტინგენტის შემცირების პირობებში, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა ეძლევა სამამულო ომის ვითარებაში. შრომის ნაყოფიერების ზრდა უზრუნველყოფილ უნდა იქნას მუშათა შორის ფუნქციების რაციონალური განაწილების, შრომის დისციპლინის განმტკიცების, პროფესიათა შეთავსების, მუშათა კვალიფიკაციის ამაღლების, სამუშაო დროის დატვირთვის, მოწყობილობის სრული გამოყენების, ტექნოლოგიური დისციპლინის მტკიცედ გატარების, სამუშაო ადგილის მართებული ორგანიზაციის, შრომის მექანიზაციის ფართოდ განხორციელების გზით.

ომის პირობებში წარმატებით იქნა გამონახული აუცილებელი მუშახელი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ახალი კადრების მოზიდვასა და მომზადებას, არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებასა და რაციონალურად გამოყენებას. ომმა მოითხოვა კადრების მომზადების ახალი ფორმები და მეთოდები. საჭირო შეიქნა მუშათა დიდი მასების სწრაფად მომზადება. სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემის ხაზით კადრების მომზადების გარდა, საგრძნობლად გაიზარდა მასობრივი კვალიფიკიური კადრების მომზადება თვით საწარმოებში. ამავე დროს სათანადო ყურადღება მიექცა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას და სტახანოველთა გამოცდილების პოპულარიზაციას. ყოველივე ამან უკვე მოგვცა მნიშვნელოვანი შედეგები.

ბრძოლა საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის ნიშნავს წლიური, კვარტალური, თვიური გეგმების თანმიმდევრულ შესრულებას წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით, მათ შესრულებას ყოველდღიურად, ყოველ საამქროში, ყოველ ბრიგადაში, ყოველ დაზგაზე, ყოველ ცელაში.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ თავისთავად პროდუქციის გამოშვების გეგმა გამოსახავს მუშაობის მხოლოდ რაოდენობრივ მხარეს და, როგორც ასეთი, არ შეიძლება ჩაითვალოს საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შეფასების ერთადერთ კრიტერიუმად. შესაძლებელია საწარმოო პროგრამა შესრულებულ იქნას რაოდენობრივად, მაგრამ დიდი დანახარჯების ფასით, ნაწარმის ერთეულის გათვალისწინებული თვითღირებულების გაიზარდებით, ხარისხისა და ასორტიმენტის არდაცვით.

უნდა გვახსოვდეს, რომ აუცილებელია „გეგმა შეეასრულოთ არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების მხრივ, არამედ აუცილებლად ხარისხობრივადაც, „ოპტიმალურად, ასორტიმენტის მიხედვით, დაწესებული სტანდარტების და გეგმით დაწესებული თვითღირებულების დაცვით" (საკავშირო კ. პ. (ბ) XVIII კონფერენციის რეზოლუციიდან).

საკითხი იმის შესახებ, თუ რა ფასით, რა დანახარჯებით მიიღება პროდუქცია აქტუალური, დიდმნიშვნელოვანი საკითხია. ომის საჭიროებანი მოითხოვენ პროდუქციის არა მხოლოდ დიდი რაოდენობით დამზადებას და ამ მხრივ სახელმწიფო გეგმების მტკიცედ შ

მდგომარეობა გერმანიაში

განვლილი კვირა აღინიშნა ჰიტლერული გერმანიის შინაგანი კრიზისის შემდგომი გაჯანსაღებით. ახლა უკვე გერმანელ ფაშისტთა პრესასაც აღარ შეუძლია იმ გარემოების დაფარვა, რომ ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულების ვრცალი ძაფი კვლავ წარმოადგენს გესტაპოსათვის საიდუმლოს, თუმცა ჰიტლერის ბანაკში ბომბის აფეთქების დროიდან უკვე ნახევარ თვეზე მეტი გავიდა.

გერინგის ორგანო გაზეთი „ნაციონალ ცაიტუნგი", რომელიც ესენში გამოდის, პირდაპირ მიუთითებს, რომ გესტაპო ვერ აღმოჩნდა მდგომარეობის სიმაღლეზე. ორი კვირის წინათ ფაშისტი მეთაურები ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ ექვსი საათი იყო საჭირო შეთქმულების აღმოჩენის, რომ შეთქმულნი წარმოადგენდნენ ადამიანთა „უმნიშვნელო ჯგუფს", რომლებიც გაძევებული იყვნენ არმიიდან „უუნარობისათვის", რომ ყველა დამნაშავე შეპყრობილი და დასჯილია.

გერინგის გაზეთი ახლა აცხადებს, რომ გერმანელებს არაფრით არ შეუძლიათ დამშვიდება. მათ, და პირველ ყოვლისა თვით ჰიტლერსმა ხოროვამაც, არ იციან, რა ფართოდ იყო გავრცელებული შეთქმულება, ვინ იღებდა მასში მონაწილეობას, აღმოჩენილია თუ არა შეთქმულების ყველა ფესვი.

ჰიტლერელები, ამბაირად, იბნევიან საკუთარი სიცრუის ქსელში და იძულებული არიან აღიარონ, რომ ჰიტლერზე თავდასხმამ, თუმცა მიზანმიუღწეველმა, უძლიერესად იმოქმედა გერმანიის ზურგზე და რომ საფრთხე, რაც ემუქრება ჰიტლერულ რეჟიმს, თავიდან არ არის აშორებული.

შვეიცარი გაზეთის „ფუტონბლადეტის" ბერლინელი კორესპონდენტის ცნობით, გესტაპომ სპეციალური განყოფილება შექმნა ჰიტლერზე თავდასხმის გამოსაძიებლად და ყველა ტერორმოებათა გამოსარკვევად, რაც დაკავშირებულია 20 ივლისის აშლებთან, და რომ გამოძიება გაძლიერებული ტემპებით სწარმოებს.

ეს ღონისძიება კიდევ იმის ერთ დადასტურებას წარმოადგენს, რომ შეთქმულებას ჰიტლერის წინააღმდეგ ფართო ხასიათი ჰქონდა. შეთქმულთა საარმიო ჯგუფის გარდა არსებობდნენ, როგორც სჩანს, სხვა ჯგუფებიც, რომლებიც დღემდე არ არიან აღმოჩენილი.

რაც შეეხება შეთქმულების საარმიო ცენტრს, ეს ცენტრიც, როგორც ცხადად სჩანს „გერმანიის არმიის დაუნდობელი წმენდისათვის" (სწორედ ასეა ნათქვამი გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ოფიციალურ ცნობაში) ოფიციერთა ჰიტლერული სპეციალური სასამართლოს შექმნის ფაქტიდან, ბოლომდე არ არის გამოძიებული.

გერმანიის და უცხოეთის პრესის უკანასკნელი ცნობების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეთქმულთა ცენტრალური ჯგუფის გარდა, რომლებიც გერმანიის არმიის გენერალურ შტაბში მოქმედებდნენ, არსებობდნენ ავრეთვე პერიფერიული ორგანიზაციები.

ოფიცერთა ჰიტლერული სპეციალური სასამართლოს პირველი სხდომის შესახებ გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობაში ჩამოთვლილია ის ფელდმარშლების, გენერლების, უფროსი და უმცროსი ოფიცრების სახელები, რომლებიც ფრონტზე და ზურგში იმყოფებოდნენ და რომლებიც ამჟამად გაძევებული არიან არმიიდან და დაპატიმრებულნი შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდების გამო.

დამახასიათებელია, რომ ჰიტლერმა თუმცა ოფიცერთა სპეციალური სასამართლო შექმნა და შეიყვანა მასში სხვა პირთა შორის ფელდმარშალი კეიტელი, გენერალ-პოლკოვნიკი გუდერიანი, რომელმაც შესცვალა გერმანიის გენერალური შტაბის უფროსი გენერალ ცაიცლერი, მაგრამ თავის ამ ფავორიტებსაც არ ანდო არმიის წმენდის ჩატარება, თვითონ დაიტოვა მათი გადაწყვეტილებების კონტროლი. ოფიცერთა სასამართლო ვალდებულია თავისი განაჩენები ჰიტლერს გაუგზავნოს დასამტკიცებლად.

ოფიცერთა სპეციალური სასამართლო ახალ ლებს ჰიტლერის ნებას და პირველსავე სხდომაზე გამოაცხადა არმიიდან ყველა ის პირის გაძევება, რომლებიც დანაშაულში არიან ჰიტლერზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

ეს ღონისძიება უკვე სიკვდილით დასჯილი გენერლების და ოფიცრების მიმართ ნავარაუდევია ომისათვის, რომ მოახდინონ მათი დისკრედიტაცია ოფიცრობის თვალში და უკანა რიგებით გაამგზავნონ გესტაპოს მიერ ანგარიშსწორება ოფიცერთა ღირსების სასამართლოს ავტორიტეტით.

ამასთან დაკავშირებით ზედმეტი არ იქნება იმის გახსენება, რომ „გრძელი დანების ღამის" შემდეგ, რაც ჰიტლერელებმა ათი წლის წინათ, 1934 წლის 30 ივნისს მოაწყეს, როცა ეკრეშოდებული რემის შეთქმულების ლიკვიდაციის ჰომიზეზებით, ავრეთვე მოკლულ იქნენ გენერლები შლაიხერი და ბრედოვი, გერმანიის გენერალურმა შტაბმა მოაწყო ოფიცერთა ღირსების სპეციალური სასამართლო, ამ სასამართლომ გაარჩია ბრალდება, რომელიც ჰიტლერელებმა წაუყენეს ეოკლოლ გენერლებს, ეს ბრალდებები დაუდასტურებლად სცნო და ოფიცერთა სასამართლომ გაამართლა შლაიხერი და ბრედოვი.

ალბათ იმის შიშით, რომ ოფიცერთა ახლანდელ სპეციალურ სასამართლოსაც შეუძლია ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც გესტაპოს განაჩენებს არ შეესაბამება, ჰიტლერმა დაიტოვა ყველა განაჩენის საბოლოო დამტკიცების თვლება.

მაშასადამე, ახლანდელი, ეგრეთწოდებული ოფიცერთა სასამართლო სხვა არაფერს წარმოადგენს, თუ არა გესტაპოური ანგარიშსწორების ნაირსახეობას, და სწორედ ამ თვალსაზრისით შეხედავენ მას გერმანიაში და პირველ ყოვლისა არმიაში.

არსებობს სხვა მოტივიც, რამაც აიძულა ჰიტლერი შეექმნა ოფიცერთა სპეციალური სასამართლო ვასაწმენდად. ამ გზით ოგი ცდილობს დააშინოს უმაღლესი ოფიცრობის ნაწილი, რომელსაც ჯერ ლოდინის პოზიცია უკავია, და რიგითი ოფიცრები, რომლებსაც ჯერ �დევ არ გამოუცხადებიათ თავისი დამოკიდებულება 20 ივლისის ამბებისადმი.

ეს გეიჩვენებს, რომ ჰიტლერულ ხროვას ძალიან ეშინია შეთქმულების მომხრეთა საქმიანობისა, რაც კვლავ გრძელდება. ფაშისტ მეთაურებს ეშინიათ, რომ მათ მიერ დასჯილი გენერლები და ოფიცრები კვლავ პოპულარული იქნებიან არმიაში და რომ მათი სიკვდილი გახდება სტიმული არსებული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ პირობებში არმიის წმენდა, რაც გესტაპოსა და ოფიცერთა სპეციალური ჰიტლერული სასამართლოს დახმარებით ხორციელდება, მხოლოდ ანტიჰიტლერული განწყობილებათა ზრდას გამოიწვევს.

შეთქმულთა საარმიო ჯგუფს, როგორც სჩანს, მხარდაჭერა ჰქონდა ზურგში, კერძოდ, გერმანიის საქმიან წრეებში. ამ აზრით, უაღრესად საგულისხმო გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა ლაიფციგის ყოფილი ბურგომისტრის კარლ გერდელერის ძებნის შესახებ, რომელიც 20 ივლისს გაჰქრა ამ ქალაქიდან. გერდელერის შეპყრობისათვის ჰიტლერელებმა ჯილდად ერთი მილიონი მარკა დაწესეს.

გერდელერი დიდი მოხელეა, რომელსაც კარგად იცნობს გერმანიის საქმიანი სამყარო. იგი დაკავშირებული იყო შახტთან, როგორც ფასების კომისარი ეხმარებოდა გერინგს, ფაშისტური ოთხწლედის ვატარებაში და ბევრი სამსახური გაუწია ჰიტლერულ რეჟიმს.

რამ აიძულა გერდელერი მიმხრობოდა გენერლების შეთქმულებას?

ცხადია, გერმანიის სამხედრო მეურნეობის მდგომარეობის ახლოს გაცნობამ გერდელერში აღარავითარი ეჭვი აღარ დასტოვა ჰიტლერული სამხედრო მანქანის სრული გაფუჭების შესახებ. მან იცოდა, რომ ვერავითარი „ტოტალური მობილიზაციები" ვერ შესძლებენ გერმანიის არმიის უდიდესი ზარალის ანაზღაურებას ცოცხალი ძალისა და საომარი ტექნიკის მხრივ და რომ ჰიტლერის მიერ ომის გაჭიანურება მხოლოდ ვაადიდებს კატასტროფის მოცულობას.

როგორც სჩანს, გერმანიის სამეურნეო მდგომარეობის ანალიზმა გერდელერი მიიყვანა იმავე დასკვნებამდე, სადამდეც შეთქმულების მონაწილე გერმანელი გენერლები მივიდნენ სამხედრო ვითარების ანალიზის საფუძველზე. ყველა ისინი შეთანხმდნენ იმაში, რომ ვითარება მოითხოვს დაუყოვნებლივ ჩამოშორონ ჰიტლერი, რომელმაც ომი წაგო.

ფაშისტ მეთაურების ყველა ზრახვა მიმართულია ძალაუფლების შენარჩუნებისა და საკუთარი კეთილდღეობის დაცვისაკენ. ერთი მხრივ, ჰიტლერი, ჰიმლერი, გებელსი და სხვები მოუწოდებენ გერმანელებს ძალების უაღრესი დაძაბვისა და წინააღმდეგობის განგრძობისაკენ, რაც სავსებით უპერსპექტივო გახდა, მეორე მხრივ, ჰიტლერელი მმართველები საიდუმლოდ გზავნიან თავის კაპიტალს არგენტინის, ესპანეთის, პორტუგალიის, შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების ბანკებში. თვითეულ მათგანს მზად აქვს შორი მგზავრობისათვის თვითმფრინავი, რომ დასტოვოს გერმანია კატასტროფის მომენტში.

ფაშისტ ბოროტმოქმედთა ეს მზადება გვიჩვენებს, რომ თვით მათ არა სწამთ, რასაც უქადაგებენ ხალხს, სახელდობრ, თითქოს გერმანიას კიდევ ჰყავს საკმაო ძალები ხანგრძლივი წინააღმდეგობისათვის და თითქოს გერმანიის დაცვა „უფრო დრეკადი და მტკიცე გახდება იმის შემდეგ, როცა საომარი მოქმედება გადატანილი იქნება მის ტერიტორიაზე".

გერმანიის რეზერვების კრიზისი ყოველდღიურად მწვავდება. ამჟამად, წითელი არმიის სწრაფი წინსვლის შედეგად ბალტიისპირეთში, გადაჭრილი აღმოჩნდა გერმანიის არმიების ჩრდილოეთის ჯგუფის უკანდასახევი გზები, ჯგუფისა, რომელსაც უკანასკნელ დრომდე სარდლობდა გენერალ-პოლკოვნიკი ლინდემანი, ახლა კი სარდლობს გენერალ-პოლკოვნიკი შერნერი. სწორედ მან გამოსცა ბრძანება, რომელიც წინადადებას აძლევს ჯარისკაცებს და ოფიცრებს „შეეზარდონ მიწას".

წითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელთა ცენტრალური დაჯგუფება ბელორუსიაში და მიეიდა აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრების მისადგომებთან.

საბჭოთა ჯარები წარმატებით აწარმოებენ ბრძოლას ვარშავისათვის. წითელი არმიის დარტყმების შედეგად გერმანელთა ჯარების კატასტროფული ზარალის ანაზღაურება არ შეიძლება სარეზერვო ნაწილების არავითარი „გამოცხრილვით", რომელთაგან, როგორც ჰიმლერის ბრძანებიდან სჩანს, ჰიტლერულ სარდლობას იმედი აქვს შეაგროვოს შეესება ფრონტზე დაუყოვნებლივ გასაგზავნად.

ჰიმლერი, როგორც სარეზერვო არმიის მთავარსარდალი, 1 აგვისტოს გაცემულ ბრძანებაში მოითხოვს, რომ იმ ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მათ შორის იმათაც, რომლებიც აქამდე ცნობილი იყვნენ მხოლოდ ზურგში საქმიანობისათვის ვარგისად, ნებაყოფლობით მისცენ პატაკები ფრონტზე გაგზავნის შესახებ.

ჰიმლერი აღნიშნავს, რომ სარეზერვო ნაწილებში მყოფთაგან ბევრი გამსჭვალულია, როგორც იგი სწერს „ეგოიზმის წყეული სულისკვეთებით".

ჰიმლერი აცხადებს, რომ „იმ სარეზერვო არმიამ, რომელსაც იგი სათავეში ედგას, უნდა აჩვენოს „ფიურერისადმი ერთგულების ნიმუში".

„ამ არმიამ,—განაგრძობს ჰიმლერი,—უნდა ჩამორეცხოს 20 ივლისის ამბების ჩირქი".

გერმანი პრესა იუწყება, რომ, ჰიმლერის ბრძანების შესაბამისად, უკვე დაიწყო ზურგის „გაცხრილვა". „ქარმა დაბერა შტაბებში, ყაზარმებში, ლაზარეთებში, სარეზერვო არმიის ბარაკებში,—სწერს „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი",—მაგრამ ეს ქარი ახალ ქარიშხალს გვიქადის".

ფრონტზე გზავნიან ჯარებს, რომლებმაც გერმანიაში უკანასკნელ კვირებში ჩადგენილი ამბების შესახებ უფრო მეტი იციან, ვიდრე ფრონტზე მყოფმა ჯარისკაცებმა. საეჭვოა, რომ ასეთი მაშველი ძალების მისვლამ მხნეობა შეძატოს გერმანიის არმიას.

რა ბრძანებებიც უნდა გამოსცეს ჰიმლერმა, ცხადია, რომ ეს ჯარები იგზავნებიან ფრონტზე ზურგის გარნიზონების წმენდის მიზნით, რომლებსაც ჰიტლერელები სთვლიან შეთქმულთა გაკლენით დაავადებულებად.

„ტოტალური მობილიზაცია", რომელიც გამოცხადდა ჰიტლერის ბრძანებით, რაც გაიცა 20 ივლისის ამბების შემდეგ, ასევე წმენდის მიზნებს ემსახურება. ამ წმენდის ნასატარებლად გამოყოფილია სპეციალური რაზმები ფაშისტური პოლიციის ამარტის რჩეული კადრებიდან, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ფართო უფლებები მთელი რაიონების, საცხოვრებელი უბნებისა და ცალკე სახლების შემოწმების დარგში. არის ცნობები, რომ ბევრი ანგარიშს ძლევენ საკუთარ თავს, რომ საქმე ეხება წმენდას და ეწინააღმდეგებიან გებელსის მიერ დასახულ ღონისძიებებს „ცხოვრების გამარტივებული ბირობების" დანერგვისათვის.

როგორც სჩანს, სწორედ ახალი „ტოტალური მობილიზაციისადმი" მზარდმა წინააღმდეგობამ აიძულა ამ რამდენიმე დღის წინათ ჰიტლერული გაზეთი „დოიჩე ალგემაინე ცაიტუნგი" განეცხადებინა, რომ „ომის მეხუთე წლის ბოლოსათვის „ტოტალური მობილიზაციის" ცნება უაღრესად სერიოზული განსაცდელის წინაშე იმყოფება".

გაუსაიტერ ლიაუტერბახი—ჰანოვერ-ბრაუნშვაიგის ოლქის მმართველი—ემუქრება გერმანელებს ყოველნაირი სასჯელით, თუ ისინი არ შეასრულებენ გებელსის დირექტივებს თვითშეზღუდვის მიყენებით უკიდურეს საზღვრამდე. მაგრამ ვერც მუქარამ, ვერც დემაგოგიამ ვერ მისცეს ჰიტლერელებს ეფექტი, რომელსაც მოელოდნენ.

„ტოტალური მობილიზაციის" შესახებ ჰიტლერის ბრძანების შემდეგ პირველ დღეებში გებელსმა განაცხადა, რომ მობილიზაცია განხორციელებული იქნებოდა ელვისებური ტემპებით. ახლა, უკანასკნელ სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებულია „დას რაიხში", იგი სწერს, რომ სახელმწიფო აპარატის რეორგანიზაციისა და გერმანიის მთელი ცხოვრების რეორგანიზაციის ღონისძიებანი არ შეიძლება ერთბაშად განხორციელდეს.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ „ტოტალური მობილიზაციის" დახმარებით რეზერვების გამოძებნის პერსპექტივები მცირეა და რომ წმენდამ, რომელსაც ჰიტლერელები „ტოტალური მობილიზაციის" საფარქვეშ ატარებენ, კიდევ უფრო დასცა გერმანიის ზურგის მორალური მდგომარეობა.

ჰიტლერული გერმანიის სამხედრო მდგომარეობის მწვავე გაუარესება და შინაპოლიტიკური კრიზისის გაძლიერება, დაეტყო მის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობასაც.

ჰიტლერელები ცუდად შენიღბული შიშით ადევნებენ თვალყურს მოვლენების ეანვითარებას ფინეთში, სადაც ამ დღეებში თანამდებობიდან გადადგა პრეზიდენტი რიუტი, რომელმაც ივნისის ბოლოს ხელი მოაწერა შეთანხმებას რიბენტროპთან გერმანია-ფინეთის სამხედრო თანამშრომლობის, გაფართოების შესახებ. ფინეთის მთავრობის პრესის კომენტარიებიც კი ეუბნებ არ სტოვებენ, რომ პრეზიდენტის შეცვლა ფინეთში მოხდა საბჭოთა შეტევის პირველ კვირებში გერმანიის არმიის კატასტროფულ დამარცხებათა ფაქტორით, რამაც თავზარი დასცა ფინელებს.

რიბენტროპმა აღუთქვა ფინეთს ფართო სამხედრო დახმარება. იგი აღნიშნავდა, რომ ამ დახმარების მტკიცე გარანტიას წარმოადგენს გერმანიის არმის ჩრდილოეთის ჯგუფის დატოვება ბალტიისპირეთში.

ახლა ფინეთის პრესის სწორედ ის ორგანოები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ ირწმუნებოდნენ, რომ გერმანიის თავდაცვა მტკიცე და შეურყეველია, რომ გერმანია-ფინეთის ალიანსი ძმობას საუკეთესო პერსპექტივები აქვს, არ ჰფარავენ თავის შიშს ბალტიისპირეთში გერმანიის მოახლეობული კრახის გამო.

ჰიტლერელებს არ შეუძლიათ დაეხმარონ თავიანთ ვასალებს. ვერმანიის სარდლობის წინაშე მთელი სიმწვავით სდგას გერმანიის ტერიტორიის თავდაცვის პრობლემა, აღმოსავლეთ პრუსიაში ფაშისტი ხელისუფალნი ზომებს ხმარობენ მოსახლეობის მობილიზაციისათვის, ჯარების მოსაშველებლად, მაგრამ ასეთ ღონისძიებათა განხორციელება დიდ სიძნელეებს ხვდება, რადგან მოსახლეობა ძლიერად პანიკამ მოიცვა და იგი ევაკუაციას ახდენს გერმანიის სიღრმეში.

აღმოსავლეთ პრუსიის გაულაბტერი კოხი ჰიტლერმა დანიშნა საგანგებო რწმუნებულად სამოქალაქო თავდაცვის დარგში, მაგრამ კოხს უკვე ცოტა დრო რჩება ამ თავდაცვის ორგანიზაციისათვის. როგორც სჩანს, აღმოსავლეთ პრუსიის მემამულეები განსაკუთრებულ იმედებს არ ამყარებენ ლოზუნგზე, რომელიც თავის დროზე გააკეთა წითელმა არმიამ უკრაინიდან. ბევრმა მათგანმა, მათ შორის ჰინდენბურგმა, მაკენზენმა და სხვებმა, ოჯახებმა დასტოვეს თავიანთი საგვარეულო მამულები და გერმანიის შუაგულისაკენ გაეშართნენ.

აღმოსავლეთ პრუსიის საზღვრებთან მდებარე სოფლებს უკვე ესმით საბჭოთა საარტილერიო ქვემეხების ბრიალი. ეს გარემოება უძლიერეს გავლენას ახდენს გერმანიის შინაპოლიტიკურ მდგომარეობაზე. წითელი არმიის მიახლოება გერმანიის საზღვრებთან აძლიერებს შინაგან კრიზისს მტრის ბანაკში.

ჯ. გოგშვილი

(მიღებულია რადიოთი საკავშირო რადიოკომიტეტის მიერ).

გერმანიასთან თურქეთის მიერ დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტისა

(საკდესის მიმოხილველის სტატია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გერმანიასთან დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ იზიდავს უცხოეთის პოლიტიკური წრეებისა და უცხოეთის პრესის ყურადღებას. ამასთან, სხვადასხვა წრეები სრულიადაც არ არიან ერთი და იგივე აზრისა თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილების შეფასებაში, ამ გადაწყვეტილების როლისა და მნიშვნელობის შეფასებაში.

როგორც ცნობილია, უკვე ომის დაწყების შემდეგ თურქეთმა 1939 წლის 19 ოქტომბერს ანკარაში ხელი მოაწერა სამოკავშირო ხელშეკრულებას ინგლისთან და საფრანგეთთან. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია თურქეთის მთავრობისათვის 1941 წლის 18 ივნისს დაედო თურქეთ-გერმანიის ხელშეკრულება მეგობრობის შესახებ და დროის გარკვეული პერიოდის მანძილზე თავისი პოზიცია გამოეცხადებინა, როგორც ნეიტრალიტეტის პოზიცია. პრაქტიკულად კი, ინგლისური გაზეთის „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" ვიმომხილველის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, შეიძლება ითქვას, რომ მთელი უკანასკნელი პერიოდის მანძილზე თურქეთი თავისი პოლიტიკით გერმანიას ძვირფას დახმარებას უწევდა მას სამხედრო ლონისძიებებში.

თურქეთი ამარაგებდა გერმანიას ძვირფასი სტრატეგიული ნედლეულით და განსაკუთრებით ქრომის მადნით. 100 ათასი ტონა ქრომის მადნიდან, რაც ამოღებულ იქნა 1943 წელს, თურქეთმა გერმანიაში გაგზავნა 47 ათასი ტონა. ეს მიწოდება 1944 წელს გაიზარდა და უკვე პირველი სამი თვის განმავლობაში 25 ათას ტონას უდრიდა. დიდი რაოდენობით გაჰქონდათ გერმანიაში ბამბა, სპილენძი, ზეთის ხილის თესლი, მატყლი, ტყავი და სხვ. ჟურნალი „ეკონომისტ დ' ორიანი", რომელიც სტამბოლში გამოდის, აღნიშნავდა 10 იანვრის ნომერში, რომ „აღმანა ძენს თურქეთისაგან მისი ექსპორტის 90 პროცენტს".

თურქეთის მიერ გერმანიის სამხედრო ლონისძიებებისადმი დახმარება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ეკონომიური დარგით—გერმანიაში ნედლეულისა და სურსათის გაგზავნით. როგორც ამერიკული გაზეთი „კრონიკლი" აღნიშნავს, „წარსულში, როცა რუსეთი მძიმე ომგომარეობაში იყოფებოდნენ, ანკარას მიუთითებდნენ, რომ თურქეთის ნეიტრალიტეტი ეხმარება გერმანელებს. იგი იცავს მათ სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგს".

ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინათ, ივნისის პირველ რიცხვებში, გამოქვეყნებულ იქნა ეგეოსის ზღვაში სრუტეებით თურქეთის ხელისუფალთა მიერ გერმანიის სამხედრო გემების გაშვების ფაქტები.

ამრიგად, ახლანდელი ომის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თურქეთის ხელმძღვანელი მოღვაწეები ატარებდნენ ისეთ პოლიტიკას, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა ჰიტლერული გერმანიისადმი დახმარებას. მაშინაც კი, როცა სამი მოკავშირე სახელმწიფო—დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები და სსრ კავშირი—გასული წლის ბოლოს დაჟინებით მოუთითებდნენ თურქეთს აუცილებლობაზე—შეეწყვიტა ეს მხოლოდ გერმანიისათვის ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკა, თურქეთის წრეებმა უარი სთქვეს ამის გაკეთებაზე, რასაც შეეძლო ხელი შეეწყო ომის ეხოლოდ გარკვეული გაჭიანურებისათვის, არა გეგონია საქმირო იყოს განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ასეთი პოლიტიკა საჭარალო იყო თურქეთის საკუთარი ინტერესებისათვის, საზარალო იყო მთელი რიგი წლების განმავლობაში დემოკრატიულ ქვეყნებთან დამყარებული მისი პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობისათვის, როგორც სჩანს, თურქეთის საგარეო პოლიტიკის ასეთი ხაზი მნიშვნელოვნად აიხსნება, ერთის ეხრივ, იმ გავლენით, რომელსაც თურქეთის ხელმძღვანელ მოღვაწეებზე ახდენდა გერმანიის ფაშისტური პროპაგანდის თეზისი თითქოს „გარდუვალი" განსეთქილების შესახებ მოკავშირეთა ბანაკში და, მეორე მხრივ, ამ ომში ჰიტლერული გერმანიის შანსების გადაფასებით.

ცხოვრებამ უარჰყო თურქეთის პოლიტიკოსების პროგნოზები. ფაქტებმა გვიჩვენეს, რომ ომის მსვლელობაში ურთიერთობა ინგლის-საბჭოთა კავშირ-ამერიკის კოალიციის წევრთა შორის არა თუ არ შესუსტდა, არამედ მნიშვნელოვნად განმტკიცდა. მოსკოვის კონფერენციის შემდეგ ამან თავისი ბრწყინვალე დადასტურება ჰპოვა თეირანის კონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, თურქეთი კვლავ წინანდელ საგარეო პოლიტიკას ავლებ.

და სავსებით ცხადია, რომ თურქეთის მთავრობის ახლანდელი გადაწყვეტილება გერმანიასთან დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ პირველ ყოვლისა და უწინარეს ყოვლისა ნაკარნახევია თურქეთის პოლიტიკური იზოლაციის საფრთხით ომის შემდეგ დროის განმავლობაში. ამ მოუსვენრობასა და შიშს მოწმობს, სხვათა შორის, ის პოლემიკა, რომელიც ამის წინათ გაიშალა თურქეთის პრესის ფურცლებზე, თურქეთის საგარეო პოლიტიკის საკითხზე. ამას მოწმობს ისეთივე ამასწინანდელი გადაწყვეტილება თანამოკავშირეთა საგარეო საქმეთა მინისტრ მენემენჯიოღლუსა, რომელიც წარმოადგენდა თურქეთის ზემოაღნიშნული საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლ.

უდავოა, რომ თურქეთსა და გერმანიას შორის დიპლომატიური და ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტას არ შეუძლია დამატებითი საზრუნავი და საწყენი არ გაუჩინოს ჰიტლერულ მთავრობას, ამაშია მისი დადებითი მნიშვნელობა მოკავშირე ქვეყნებისათვის, ამიტომ სრულიადაც არ არის საკვირველი ი ჩვენი, რასაც ამჟამად ადგილი აქვს ჰიტლერულ პრესაში და რაც მიმართულია ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ თურქეთის მთავრობის გადაწყვეტილების წინააღმდეგ.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოთ, რომ უცხოეთის პრესის მთელ რიგ ორგანოებში სწერენ, რომ ამჟამად, როცა ომი შედეგი უკვე წინასწარ განსაზღვრულია, ანტიჰიტლერული კოალიციის სასარგებლოდ, ფაშისტი ომრიისა და მოკავშირეთა გმირული ომრჭოდების მეობებით და ამ ლონისძიებებმა თურქეთის ყოველგვარი მონაწილეობის გარეშე, ახლანდელი შემბრუნება თურქეთის პოლიტიკაში ძალზე დაგვიანებულია და იგი გადაეპარებინა არ უნდა იქნას შეფასებული.

მაგალითად, „ნიუ-იორკ ტაიმსი" სწერს, რომ ამერიკის ზოგიერთი ოფიციალური წყაროები, „ფიქრობს, რომ თურქეთს ურთიერთობა უნდა გაეწყვიტა გაცილებით უფრო ადრე" და რომ „ახლა ურთიერთობის გაწყვეტის მნიშვნელობა შედარებით მცირეა". ინგლისური ჟურნალი „ნიუ სტეიტსმენ ენდ ნეიშნი" სამართლიანად შენიშნავს, რომ, „თურქეთის მთავრობამ ხუთ წელიწადს ტაცადა იმის გამორკვევას, თუ საით დაუბერავდა ომის ქარი და ახლა საბოლოოდ დადასწყვიტა, რომ მან შეუძლია შედარებით ადვილად აიღოს გეზი მოკავშირეთა გამარჯვებისაკენ". ინგლისური ჟურნალ „ეკონომისტის" მტკიცებით, თურქეთის მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილება მიმდინარე ეტაპზე არ მოახდენს „დიდ და ოშეალო გავლენას ომის მსვლელობაზე".

გერმანიასთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ თურქეთის გადაწყვეტილების შეფასებისას არ შეიძლება დავიიწყოთ, რომ თურქეთმა ეს გადაწყვეტილებაც კიდევ არ ნიშნავს მის ჩადგომას იმ სახელმწიფოთა რიგებში, რომლებიც მძიმე ბრძოლას ეწევიან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ. არ შეიძლება ავრეთვე იმის დავიწყება, რომ თურქეთმა ახლაც შეინარჩუნა ხელშეუხებლად თავისი ახლო დამოკიდებულება გერმანიის სატელიტებთან, განსაკუთრებით — უნგრეთთან და რუმინეთთან, რომლებიც ომს აწარმოებენ საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ ჰიტლერულ გერმანიასთან კავშირში.

ნ. ბოდროვი

ორი თვის საომარი მოქმედება ჩრდილოეთ საფრანგეთში

ნორმანდია, 6 აგვისტო (საკდესის სამხედრო კორ.). მოკავშირეთა ჯარების ოპერაციებს ნორმანდიაში კამპანიის პირველი თვის განმავლობაში ძირითად მიზნად ჰქონდათ დაეკავებინათ და შეენარჩუნებინათ ალიაციებისა, უზრუნველეყოთ ჯარების გადასხვა. ამ ოპერაციებს ძირითადად თავდაცვითი ხასიათი ჰქონდათ. მეორე თვეში მოქმედება კი წარმოადგენს მთელ რიგ თანმიმდევრულ დარტყმებს ფრონტის ყველა უბანზე. ამ დარტყმათა შედეგად მოკავშირეთა ჯარებმა არა მარტო სერიოზული დამარცხება მიაყენეს გერმანელებს, არამედ რამდენჯერმეც გაადიდეს პლაცდარმის ტერიტორია.

მეორე თვის საბრძოლო მოქმედება ქრონოლოგიურად შემდეგნაირად ვითარდებოდა:

8 ივლისს ინგლისის არმიის ჯარებმა დარტყეს კანის მიმართულებით და 10 ივლისს მიადგნენ მდინარე ორნის მარცხენა ნაპირს. შემდეგ ამეორეს ჯარები შეტევაზე გადავიდნენ ნაპირის გასწვრივ მთელს მარჯვენა ფლანგზე და გავიდნენ ლესე-ენ-ლოს ხაზზე. 14 ივლისს ღამით ინგლისის ჯარებმა დარტყეს ევრესის მიმართულებით და პოზიციები გაიუმჯობესეს. 16 ივლისს ამერიკის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ სენ-ლოს წინაღმდეგ და 18 ივლისს დაიკავეს გზების ეს დიდმნიშვნელოვანი კვანძი. 18 ივლისს დილიდან ინგლისის ჯარებმა ძლიერ დარტყეს კანის რაიონში, 12-დე კილომეტრით წაიწიეს წინ და მტკიცედ დაიკავეს გზების ეს კვანძი, რომლებიც საფრანგეთის სოლრმისაკენ მიდიან. 26 ივლისს ამერიკის არმია შეტევაზე გადავიდა თავისი ფრონტის თითქმის მთელ სიგრძეზე, გაარღვია გერმანელთა თავდაცვა და იწყო სწრაფად წინსვლა სამხრეთისაკენ. გერმანელებმა, რომლებმაც დახარჯეს თავიანთი რეზერვები წინანდელ გარღვევათა სალიკვიდაციოდ, დაიწყეს ჯარების მოხსნა უშუალოდ ფრონტიდან, კერძოდ, კომონის რაიონიდან, რათა შეეჩერებინათ ამერიკის არმის შეტევა. მოკავშირეებმა გამოიყენეს გერმანელთა ეს განზრახვა და ინგლისის არმის ჯარებმა მოკლე ხნის განმავლობაში მოახდინეს თავიანთი ქვეითი და სატანკო ძალების დიდი გადაჯგუფება. 30 ივლისს დილიდან ეს ჯარები შეტევაზე გადავიდნენ კომონის რაიონში, სადაც სწრაფად წაიწიეს წინ, თავისი უბნისკენ მიიზიდეს გერმანელთა დიდი ძალები, ჩაშალეს გადაჯგუფების მათი გეგმა და, ამნაირად, უზრუნველჰყვეს ამერიკელთა წარმატებითი წინსვლა.

მთელმა რიგმა თანმიმდევრულმა დარტყმებმა ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ფლანგზე მოჰკვანცეს გერმანელთა რეზერვები და მოკავშირეებს საშუალება მისცეს ღრმად დაერტყათ მარჯვენა ფლანგზე, სადაც ამერიკის არმის ჯარებმა წინ წაიწიეს 150-მდე კილომეტრით. ამერიკის ჯარების ინაგარდები უკვე გავიდნენ ბისკაის ყურესთან.

მოკავშირეები, რომლებმაც გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაარღვიეს მათი ჯარების მართვა, წინ მიიწევენ არა მარტო სამხრეთის მიმართულებით — ბისკაის ყურისაკენ, არამედ ალმოსავლეთის მიმართულებითაც — საფრანგეთის სოლრმეში.

6 აგვისტოსათვის ფრონტის ხაზი გადის შემდეგ ძირითად პუნქტებზე: სენ-მალოსა, დინანსა, პოერმელსა, რედონსა, გემენეკა, შატობრიანსა, ლავალსა, ფუჟერასა, გორონსა და დომფრონზე; ვირსა, ლებენი-ბოკაჟსა და ონეზიურ-ოდონზე; ევრესსა და ბურგენეუსზე ტროარნზე, მდინარე ორნის შესართავთან. მთელ